საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT AND NATURAL RESOURCES PROTECTION OF GEORGIA

KA060176596201916

საქართველო, 0114 თბილისი, გ.გულუას ქ. N6; ტელ:2727200, 2727220, ფაქსი:2727237; www.moe.gov.ge
6 G. Gulua Str. 0114, Tbilisi, Georgia, Tel:(+995 32) 2727200, 2727220, Fax:2727237; www.moe.gov.ge

 # 8935

21 / ოქტომბერი / 2016 წ.

თბილისის არქიტექტურის სამსახურის
უფროსის მოვალეობის შემსრულებელს
ბატონ ზურაბ წიკლაურს

ბატონო ზურაბ,

თქვენი წერილის (#07-13/904 03.10.2016) პასუხად, რომელიც ეხება ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, გელოვანის გამზირზე, ინდუსტრიული ტექნიკუმის მიმდებარედ, ხევში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.10.11.001.231) გაზგასამართი სადგურის, კაფის და ოფისის განთავსების საკითხს, გაცნობებთ, რომ წერილში ნახსენები მდინარე სავარაუდოდ უნდა წარმოადგენდეს პერიოდული ხასიათის მცირე მდინარეს, რომლის სიგრძე არ აღემატება 25 კილომეტრს და არსებული კანონმდებლობით მისი წყალდაცვითი ზოლის (ზონის) სიგანე შეადგენს 10 მეტრს, რომელიც აითვლება მდინარის კალაპოტის კიდიდან ორივე მხარეს. მდინარის წყალდაცვითი ზოლის განსაზღვრის პირობები, მასში მოქმედი აკრძალვები და სპეციალური მოთხოვნები განისაზღვრება საქართველოს კანონით "წყლის შესახებ", "წყალდაცვითი ზოლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №440 დადგენილებით და "საქართველოს მცირე მდინარეების წყალდაცვითი ზოლების (ზონების) შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №445 დადგენილებით, რომელთა მიხედვით დადგენილი აკრძალვები და მოთხოვნები მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული წყალდაცვით ზოლში მოხვედრილ მიწის ნაკვეთზე დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებისას.

ამავე დადგენილებების თანახმად ქალაქებში, დაბებსა და სოფლის ტიპის დასახლებულ პუნქტებში მცირე მდინარეთა წყალდაცვითი ზოლი (ზონა) უნდა მოეწყოს გენერალური გეგმების შესაბამისად, რომლებშიც გადაწყვეტილია გარემოს დაცვის ყველა საინჟინრო, სანიტარული და ჰიგიენური საკითხი.

იმის გათვალისწინებით, რომ მოცემული ნაკვეთი მდებარეობს ქ. თბილისის ფარგლებში, საჭიროდ მიგვაჩნია აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა ქ. თბილისის გენერალური გეგმის შესაბამისად.

დამატებით გაცნობებთ, რომ წყალდაცვითი ზოლის და შესაბამისი აკრძალვების და შეზღუდვების უძრავ ქონებაზე გავრცელების დასადგენად საჭიროა დაზუსტება ადგილზე ჩატარებული გაზომვებით.

ასევე გაცნობებთ, რომ „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე–4 მუხლის პირველი პუნქტის „ი" ქვეპუნქტის შესაბამისად, ეკოლოგიურ ექსპერტიზას ექვემდებარება "ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, აგრეთვე თხევადი და ბუნებრივი აირების საცავების, ტერმინალების განთავსება, რომელთა ტერიტორიაზე განლაგებული ავზებიდან ერთ-ერთის მოცულობა 1000 კუბ.მ-ზე მეტია ან მათი ჯამური მოცულობა 1000 კუბ.მ-ს აღემატება". შესაბამისად, თუ გაზგასამართი სადგურის ტერიტორიაზე იგეგმება საცავების განთავსება, რომელთაგანაც ერთ–ერთი მათგანის მოცულობა 1000 კუბ.მ–ზე მეტია ან ჯამური მოცულობა აღემატება 1000 კუბ.მ–ს, აღნიშნული საქმიანობა საჭიროებს კანონით დადგენილი პროცედურების გავლას.

სსიპ-ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
არქიტექტურის სამსახური
№ 07-13/904
25.10 2016 წ.
თბილისი 0160, ქ. შარტავას ქ. №7

დამატებით გაცნობებთ, რომ ამავე კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ყველა იმ საქმიანობისათვის, რომელიც არ ექვემდებარება ეკოლოგიურ ექსპერტიზას, სავალდებულოა გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტების დაცვა.

პატივისცემით,

მინისტრის პირველი მოადგილე თეიმურაზ მურღულია